14/05/2019

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ათენის უნივერსიტეტის პროფესორი და ქართველი სტუდენტები მიიღო

ა.წ. 10 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ათენის

უნივერსიტეტის პროფესორი, ბ-ნი ხრისტოს კარაიანისი და ათენის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის ქართველი სტუდენტები მიიღო.

პროფესორმა ხრისტოს კარაიანისმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და დამსწრეთ გააცნო მის მიერ გამოცემული წიგნი, რომელიც ეძღვნება იერუსალიმში, მაცხოვრის საფლავთან არსებულ საცავში აღმოჩენილ შეწირულობებს, რომელთა შორის არის ქართული გარდამოხსნები, მიტრები, ოლარები, საბუხარები და სხვა საღვთისმსახურო ნივთები. სტუმარმა ასევე ისაუბრა ქართველი სტუდენტების მაღალი აკადემიური მიღწევების შესახებ.

მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ პროფესორ ხრისტოს კარაიანისს მადლობა გადაუხადა ჩვენთვის ამ ფრიად მნიშვნელოვანი მასალების მოწოდებისთვის, დალოცა იგი და ქართველი სტუდენტები და მათ ეკლესიისთვის სასარგებლო მოღვაწეობა უსურვა.

patriarchate.ge